აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 21

10 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისას სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ხმის მიცემის წესის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივი დისლოკაციის მქონე სამხედრო ნაწილებში მომსახურე, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ამომრჩევლები, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით, მიემაგრებიან მასთან არსებულ უახლოეს საარჩევნო უბანს.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივი დისლოკაციის მქონე სამხედრო ნაწილებში მომსახურე, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ის ამომრჩევლები, რომლებიც სამხედრო სამსახურს გადიან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მონაწილეობენ როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული სისტემის არჩევნებში.

მუხლი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივი დისლოკაციის მქონე სამხედრო ნაწილებში მომსახურე, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ის ამომრჩევლები, რომლებიც სამხედრო სამსახურს არ გადიან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მონაწილეობენ მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში.

მუხლი 4. ამ დადგენილებით განსაზღვრული სამხედრო მოსამსახურეები სპეციალურ სიაში შეიყვანებიან სამხედრო ნაწილის მეთაურის წარდგინებით შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდალური დღის ვადაში.

მუხლი 6. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ირაკლი ფაღავა
კომისიის მდივანი	გიზო მჭედლიძე